




ISBN: 978-9941-13051-9

A5, 546 გვერდი

ფასი: 20 ლარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ სერიით „საუნჯე“ მკითხველს კიდევ რამდენიმე წიგნი შესთავაზა. მათ შორის არის დიდი ფრანგი მწერლის ლუი ფერდინანდ სელინის გახმაურებული რომანი „მოგზაურობა ღამის დასალიერში“. რომანი ფრანგულიდან თარგმნა სიბილა გელაძემ, რომელიც 2009 წელს ნომინაციაში "თარგმნილი წიგნი" „გალას“ ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა.

ლუი ფერდინანდ სელინი გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე. რომანმა „მოგზაურობა ღამის დასალიერში“ მას დიდი წარმატება მოუტანა, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე გამოქვეყნებულმა პამფლეტმა სელინს ანტისემიტისა და რასისტის რეპუტაცია კარგა ხნით დაუმკვიდრა ევროპაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლაბორაციონიზმის ბრალდებით გასამართლებული სელინი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა საფრანგეთში. აღიარება კი სიკვდილის წინ დაწერილმა რომანებმა მოუტანა.

„მოგზაურობა ღამის დასალიერში“ გასული საუკუნის ყველაზე რევოლუციურ ნაწარმოებადაა მიჩნეული. ეს არის გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი პირველი წიგნი რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნით დაასწრო თავად ამ ეპოქის დადგომას. რომანის მთავარი გმირი, რომელიც მთელ სამყაროში მოგზაურობს, ერთგვარად ულისეს პირდაპირი შთამომავალია, რომელიც სისასტიკით აღსავსე სამყაროში ცხოვრობს. მოგზაურობისას ის ხვდება ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ მოკლან ან ჰკლვიდან შეშალონ სხვები. სელინი ყვება საზარელ ისტორიებს. იგი ამბობდა: „იმიტომ ვწერდი რომანებს, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელი ყოფილიყო“. და მიუხედავად ამისა ფერდინანდ სელინის ნაწარმოებებს მაინც ყველა კითხულობს, რადგან რომანის „მოგზაურობა ღამის დასალიერში“ იდეა დღესაც აქტუალურია – ადამიანები ცდილობენ ამ პატარა დედამიწაზე გადარჩინონ თავი ღმერთის დახმარების გარეშე, იმ ღმერთისა, რომელიც, როგორც თავად სელინი აღნიშნავდა უგზავნის მათ სიღარიბეს, ომებს და ტექნიკურ პროგრესს და არავინ იცის, რატომ ხდება ასე.